ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #26

ქ.ქუთაისი 13 აპრილი 2023წ.

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლა , წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მურად ჯიშკარიანის სახით (შემდეგში - დამკვეთი) და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე გიორგი ამბროლაძე ს/კ 60002013660 (შემდეგში შემსრულებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში 70 კვმ იატაკის მოხვეწის შესყიდვა ამ ხელშეკრულების ანაზღაურების სანაცვლოდ.
CPV-45400000

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1050 (ერთიათასორმოცდაათი) ლარი და 00 თეთრი.
2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
3. ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
4. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლოობაში, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მომსახურეობის მიღების ადგილი, ვადა და გარანტია

1. სამუშაოების შესრულების მიღების ადგილია ქ.ქუთაისი გ.ტაბიძის N58.
2. სამუშაოების შესრულება ხორციელდება ხელმოწერიდან 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
3. სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს, დაწყებული სამუშაოების გადაცემიდან.
4. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრა, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოწვეულია დამკვეთის მიზეზით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში
2.2. სამუშაოების შესრულების დროს დაიცვას უსაფრთხოების ნორმები.

3. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა
მის. გ.ტაბიძე N58
ტელ. 0431272928
ს/კ 212850155
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი “ ბ/კ BAGAGE22
ა/ა GGE13BG0000000365798925GEL

დირექტორის მ/შ მურადი ჯიშკარიანი

(ხელმოწერა)

შემსრულებელი:

ინ/მ გიორგი ამბროლაძე
მის. ქ.ქუთაისი კ. ტყაბლაძის N21
ტელ: 555954515
ს/კ 60002013660
საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი “ ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE92BG0000000162247271GEL

ი/მ გიორგი აბროლაძე

(ხელმოწერა)

Giorgi Ambroladze 60002013660
Digitally signed by Giorgi Ambroladze
Date: 2023.04.13 15:13:25